პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში (სსმ, 30.12.2013) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „გ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების და დაზარალებულ პირთა დახმარება“.

მუხლი 2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ა) 18-წელს ზევით ასაკის პირების, რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000-ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება;

მუხლი 3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ბ)18 წელს ზევით ასაკის მკვეთრად გამოხატული შშმ პირების რომელთა სარეიტინგო ქულა 57001 დან 120 000-ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება“;

მუხლი 4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „გ) ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა პირების რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000- ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარული მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება;

მუხლი 5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ე) 0–დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახებს რომლებსაც მინიჭებული აქვთ სარეინტიგო ქულა 57001-დან 120 000 ის ჩათვლითაა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება“.

მუხლი 6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 5. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებისა და დაზარალებულ პირთა დახმარება.

1. აფხაზეთის კონფლიქტისა და სამაჩაბლოში რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახები ერჯერადად მიიღებენ ფულად დახმარებას 300(სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახები ან/და დაზარალებული პირები 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად ოჯახი დამატებით მიიღებს 200 (ორასი) ლარს.

2. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების (რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამიდან) ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ხოლო დაზარალებულ პირთათვის 100(ასი) ლარის ოდენობით.

3. ყოველთვიური დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: ა). განცხადება; ბ). განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გ). გარდაცვალების მოწმობის ასლი; დ). გარდაცვლილის პირდაპირი მემკვიდრის დამადასტურებელი დოკუმენტი; ე) სტატუსის შესაბამისი დამადასტურებელი ცნობა; ვ) ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ“;

4. დაზარალებულ პირთათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები არ ვრცელდება;

5. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე”.

მუხლი 7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–15 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 15. 18 წელს ზევით ასაკის პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000-ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება.

მუხლი 8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „18 წელს ზევით ასაკის იმ პირებზე, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას, მედიკამენტების შეძენას და რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000-ის ჩათვლითაა, გაეწევათ ერთჯერადი დახმარება“;

მუხლი 9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–16 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 16. „18 წელს ზევით ასაკის მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000–ის ჩათვლითაა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება“;

მუხლი 10. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 16. „ 18 წელს ზევით ასაკის მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 57001-დან 120 000 ის ჩათვლით და საჭიროებენ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტების შეძენას, გაეწევათ ერთჯერადი დახმარება.“

მუხლი 11. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–20 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 20. ონკოლოგიური დაავადებით დავადებულებს რომლებსაც მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 57001-და 120 000-ის ჩათვლით, სამედიცინო სტაციონარული მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე ერთჯერადი დახმარება;

პროექტი მოამზადა: *ი. ბასილია*